



საქართველოს
პროფკავშირთა რესპუბლიკური გაერთიანება
„სააქციო საზოგადოება ქობულეთის
საკურორტო პოლიკლინიკა”

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2019 წლის 31 დეკემბერს

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და
დამტკიცებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საეთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

1. მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
2. გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
3. განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები მსს ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი;
4. ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოდ პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.
5. ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:
 - ა. ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
 - ბ. ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ მისი ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
 - დ. სავალდებულოა საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
 - ე. აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
 - ვ. თაღლითობის ან სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 15 სექტემბერს.

**ს.ს. „ქობულეთის საკურორტო პოლიკლინიკა“-ს დირექტორი
რუსუდან მახარაძე**

ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
სრული შემოსავლების ანგარიშგება;
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება;
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.

განმარტებითი შენიშვნები:

1. შესავალი
2. ზოგადი დებულებები
3. ბუღალტრული აღრიცხვის შერჩეული ფორმა და მეთოდები
4. მოგება ზარალი
5. ძირითადი საშუალებები
6. საინვესტიციო ქონება
7. სასაქონლო მატერიალური მარაგები
8. დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან
9. ფული და ფულის ექვივალენტი
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
11. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები
12. შემოსავალი
13. სხვა საოპერაციო ხარჯები
14. მოგების გადასახადები
15. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები
16. ფინანსური რისკის მართვა
17. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება
18. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
		31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		2 590 236	2 615 419
საინვესტიციო ქონება			
ბიოლოგიური აქტივი			
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში			
		2 590 236	2 615 419
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები		2 870	9 937
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		1 766	2 090
მარაგები			
მისაღები დივიდენდები და პროცენტები			
		4 636	12 027
მთლიანი აქტივები		2 594 872	2 627 446
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		599 740	599 740
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		422 016	463 227
გადაფასების რეზერვი		1 542 240	1 542 240
		2 563 996	2 605 207
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები			
ანარიცხები			
			0
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები			
გადავადებული შემოსავალი			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		12 717	3 612
საგადასახადო ვალდებულებები		18 159	18 627
გადასახდელი პროცენტი			
გადასახდელი დივიდენდი			
		30 876	22 239
მთლიანი ვალდებულებები		30 876	22 239
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		2 594 872	2 627 446

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება			
		31.12.2019	31.12.2018
ამონაგები		128 160	287499
თვითღირებულება		(84177)	(121687)
საერთო მოგება		43983	165812
სხვა შემოსავლები		195	
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(83427)	(90403)
მიწოდების დანახარჯები			
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა			-
სხვა ხარჯები		(1 937)	(2066)
			-
საოპერაციო მოგება (ზარალი)		(41186)	73343
ფინანსური შემოსავალი		130	225
ფინანსური ხარჯი		(155)	(1273)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(25)	(1048)
მოგება დაბეგვრამდე (ზარალი)		(41 211)	72295
მოგების გადასახადი			0
პერიოდის მოგება (ზარალი)		(41 211)	72295
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით			-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		(41 211)	72295

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მოლიანი კაპიტალი
2018 წლის 1 იანვარი	649740	1 5422 40	390 932	2 582 912
მოგება წლის ბოლოს			72295	72 295
სხვა სრული შემოსავალი				
პერიოდის სრული შემოსავალი			72295	72 295
გაცემული დივიდენდი				
სხვა გაცემები (50000)				(50 000)
2018 წლის 31 დეკემბერი	599740	1 542 240	463 227	2 605207
ზარალი წლის ბოლოს			(41 211)	(41 211)
სხვა სრული შემოსავალი				
პერიოდის სრული შემოსავალი			(41 211)	(41 211)
გაცემული დივიდენდი				
აქციების გამოშვება				
2019 წლის 31 დეკემბერი	599740	1 542 240	422 016	2 563 996

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ლარებში

		2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
ფულადი სახსრები გაწეული მომსახურებიდან		159573	335364
გადახდილი მომწოდებლებზე		-39903	-121237
გადახდილი ხელფასები		-57077	-77785
გადახდილი გადასახადები		-62071	-155871
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		-12921	-16411
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		5332	44445
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში		-7067	8505
ფული და ფულის ექვივალენტი წლის დასაწყისში		9937	1432
ფული და ფულის ექვივალენტი წლის ბოლოს		2870	9937

1. შესავალი

ს.ს. „ქობულეთის საკურორტო პოლიკლინიკა“ დარეგისტრირდა ქალაქ ქობულეთის საგადასახადო ინსპექციაში 23.07.1998 წელს და მიენიჭა ს/კ 246955497, სამართლებრივი ფორმა სააქციო საზოგადოება: სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი 23.07.1998 წელი. რეგისტრაციის ნომერი 09-5-13 იურიდიული მისამართი: ქობულეთი აღმაშენებლის ქ.269

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა -ქართული ლარი. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

საზოგადოების დამფუძნებელია პროფკავშირთა გაერთიანების გამგეობა 25.02.1998 წ. №27-15 დადგენილების შესაბამისად. საწესდებო კაპიტალი 274770 ფასიანი ქაღალდების კლასი: ჩვეულებრივი. სულ რეგისტრირებულია ფასიანი ქაღალდების 46- მფლობელი.

აქციების 51% - შეადგენს შ.პ.ს. „პროფკურორტი“

48.76%-საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

0.24 %-სააქციო საზოგადოების გაერთიანების თანამშრომლები.

საზოგადოების მიმდინარე ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლობა ევალება დირექტორს.

დირექტორი რუსუდან მახარაძე

2. ზოგადი დებულებები

2.1 საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს :

5510-სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნების გარეშე.

8511-სანატორიულ -საკურორტო დაწესებულების საქმიანობა.

-სხვა საქმიანობა რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

2.2 წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული

აქტების საფუძველზე: -საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ

-საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“

-ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს სტანდარტი)

2.3. წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკა მოქმედებს 2016 წლის 1 იანვრიდან.

2.4. ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგების სწორ ორგანიზებას უზრუნველყოფს საწარმოს დირექცია

3. ბუღალტრული აღრიცხვის შერჩეული ფორმა და მეთოდები:

3.1. ბუღალტრული აღრიცხვა ხდება ხელით, არ არის გამოყენებული არცერთი პროგრამა.

3.1.1. საწარმო იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა და საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის“ შესაბამისად მოქმედი ანგარიშთა გეგმას. ძირითად საბალანსო ანგარიშებს შესაძლებელია დაემატოს საჭიროებისამებრ ქვე ანგარიშები.

3.2. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა:

-ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს;

- საკუთარი ძალებით აშენებული(დამზადებული) ძირითადი საშუალების ღირებულებაში არ შეიტანება მოგება (გეგმიური დაგროვება);

-ფინანსური იჯარით მიღებული ძირითადი საშუალება აღირიცხება მათი დისკონტირებული ღირებულებით;

-უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალების შემოსავალში აღება რეალური ღირებულებებით;

-ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით;

-ძირითადი საშუალების ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მათი პირვანდელი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით;

-ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით;

-საწარმო ძირითად საშუალებების გადაფასებას ახდენს, ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვით.

3.3. არამატერიალური აქტივების აღრიცხვა

- შეძენილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს დაპირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისათვის; უსასყიდლოდ მიღებული არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებით;

-საკუთარი ძალებით შექმნილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება ფაქტობრივი თვითღირებულებით;

- ფინანსურ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივი აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით;
- არამატერიალურ აქტივს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით.

3.4 სხვა აქტივების აღრიცხვა

- მრვალჯერადი გამოყენების აქტივები რომელთა გამოყენების ვადით საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, აისახება სხვა მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში.
- სპეცტანსაცმელი და შრომის დაცვის საშუალებები აისახება სხვა მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში.

3.5. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა

- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს;
- სასაქონლო მატერიალური მარაგების აღრიცხვის მეთოდია უწყვეტი;
- სასაქონლო მატერიალური ფასეულობათა თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდია „საშუალო შეწონილი“
- დაუმთავრებელ წარმოებაზე გახარჯული მასალები გამოიწერება საწარმოს მიერ დადგენილი ნორმისა და გამოშვებული პროდუქციის მიხედვით.
- საწარმოო ზედნადები ხარჯები გამოიწერება გაანგარიშებული(გეგმიური) ხარჯების მიხედვით, ხოლო ფაქტობრივი ხარჯები აისახება ზედნადები ხარჯების სინთეზური ანგარიშის დებეტში.
- ფაქტობრივი ზედნადების ხარჯების გადამეტება პროდუქციის თვითღირებულებაში შეტანილ ზედნადებ ხარჯებზე წლის ბოლოს მიეკუთვნება მიმდინარე პერიოდის ხარჯებს;
- პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი მასალების ხარჯი შეიტანება პროდუქციის თვითღირებულებაში ხარჯვის ნორმების საფუძველზე;

3.6. საწვავის აღრიცხვა

- ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ტალონებით და აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით. ტალონები აღირიცხება განცალკევებულად სხვა მიმდინარე აქტივების ანგარიშზე.

3.7. ცალკეული სასაქონლო მატერიალური ფასეულობის აღრიცხვა

- მოხმარებისთვის განკუთვნილი სამეუნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აღრიცხება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ

ხარჯს;

-50 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები (კალკულატორი, ტელეფონის აპარატი, ასაკინძი მოწყობილობები და სხვა) მარაგებში არ აისახება და ექსპლუატაციაში გადაცემის თანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯს.

-კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები და მასალები(კატრიჯი, დისკები, ეკრანის გასაწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს;

3.8. მოთხოვნების აღრიცხვა

-მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ურთიერთდამოკიდებული პირების გადასახადისაგან გათავისუფლებული ანდა არარეზიდენტი პირების მიმართ აისახება გამიჯნულად.

3.9. ვალდებულების აღრიცხვა

-ვალდებულებები საქონლის მომსახურების მომწოდებლის მიმართ მიეკუთვნება საწარმოს ურთიერთდამოკიდებული პირების, მოგების გადასახადისაგან განთავისუფლებული ანდა არარეზიდენტი პირების მიმართ აღირიცხება გამიჯნულად.

3.10. საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა

- საწარმოს კაპიტალი განისაზღვრება წესდებით და შეადგენს 274770 ლარს.

2016 წელს საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების მიერ კაპიტალში შემოტანილი იქნა 455000 ათასი ლარი , სასტუმროს მესამე სართულის დაშენებისთვის, ყოველ წლიური დაფარვით 50000 დან 10000 ლარის ოდენობით, წლიური ამონაგების შესაბამისად . 2017წ. დაიფარა 80000 ლარი , 2018 წ. 50000 ლარი 2019 წელს 21 ივნისის ცნობილი მოვლენებიდან გამომდინარე საკურორტო სეზონის ჩავარდნის გამო ვერ მოხერხდა თანხის გადახდა და შესაბამისად 2019წლის 31 დეკემბრის მდგომარეობ დარჩა დავალიანება 325 000ლარი.

- კაპიტალის მოცულობისა და პარტნიორთა წილების ცვლილებები რეგისტრირდება მეწარმეთა კანონით განსაზღვრული წესით.

3.11. ინვესტიციის აღრიცხვა

-მიმდინარე ინვესტიციები აღირიცხება თვითღირებულებით;

-გრძელვადიანი ინვესტიციები აღირიცხება თვითღირებულებით.

3.12. შემოსავლის აღრიცხვა

- შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;

- მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგები ბალანსის შედგენის თარიღისათვის აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედო შეფასება.

3.13. ხარჯების აღრიცხვა

- ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;
- ხარჯების აღრიცხვის შინაარსი-ფინანსური დანიშნულებით.

3.14. ხარჯების და შემოსავლების აღრიცხვა საგადასახადო მიზნისათვის

საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი მოგების გადასახადით დასაბეგრი განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, განაცემები, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება-მომსახურების გაწევა ანდა ფულადი სახსრების გადაცემა, ასევე სსკ-ით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები აღირიცხება გამიჯნულად ამ მიზნისათვის გახსნილ სუბანგარიშებზე.

4. მოგება-ზარალი:

4.1. წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება:

- დივიდენდების გასაცემად;
- საწარმოს რეინვესტირებისთვის;
- სხვა დანიშნულებით, პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე.
- მოგების განაწილება და დაბეგვრა ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98 მუხლის საფუძველზე

4.2. მოგების გადასახადი:

- მოგების გადასახადი იანგარიშება დაბეგვრის ახალი მოედლის, კერძოდ ე.წ ესტონური მოდელის შესაბამისად.

5.ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	ინვენტარი	სულ
ნარჩენი საბალანსო ღირებულება 2018/31/12	1058558	1461804	28 100	9 787	57 170	2 615 419
შემოვიდა		11 000	2 354	5 000	5 110	23 464
ცვეთის ხარჯი		29 228	8 691	2 707	6 084	46 710
გავიდა			800		1 137	1 937
ნარჩენი ღირებულება 2019/31/12	1 058 558	1 443 576	20 963	12 080	55 059	2 590 236

6. არამატერიალური აქტივები.

კომპანიას არამატერიალური აქტივები არ გააჩნია.

7. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების ნაშთები კომპანიას წლის დასაწყისში და წლის ბოლოსთვის არ გააჩნია, რადგან საკურორტო მომსახურებას ვეწევით ხდება მარაგების გახარჯვა წლის განმავლობაში.

8. დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31 დეკემბერი 2019 წელი	31 დეკემბერი 2018 წელი
დებიტორული დავალიანება	1766	2090

9. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტი	31 დეკემბერი 2019 წელი	31 დეკემბერი 2018 წელი
თანხა სალაროში	849	466
თანხა ბანკში	2021	9471
სულ ფული და ფულის ექვივალენტი	2870	9937

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 10600 ლარს.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის 779 ლარს.

სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და მათი დაფარვა ხდება ყოველთვიური ფინანსური წლის განმავლობაში

11. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	31 დეკემბერი 2019 წელი	31 დეკემბერი 2018 წელი
დავალიანება პერსონალის მიმართ	2116	2833

12. შემოსავალი

2019 წლის შემოსავალი 128160 ლარი შეიცავს ამონაგებს მომსახურებიდან 130 ლარი საპროცენტო შემოსავალს ბანკში საკუთარი თანხების შემნახველ ანაბარზე განთავსებიდან და 195ლარი განსაკუთრებული შემოსავალი (დაბრუნებული საპენსიო ანარიცხები).

13. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯებში გათვალისწინებულია ადმინისტრაციის ხელფასი 18500 ლარი და სხვა საოპერაციო ხარჯები 1107ლარი

14. მოგების გადასახადი

რადგან კომპანიას მოგებიდან დივიდენდი არ გაუცია, მოგების გადასახადიც შესაბამისად არ გადაუხდია.

15. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები არ გაგვაჩნია.

16. ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს). საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით, რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება რათა აცილებულ იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

17. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა. აქედან გამომდინარე, ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომლის მიღებაც შეუძლია კომპანიას რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციის შემთხვევაში. კომპანიის ბალანსსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულებების შედარება იხილეთ ქვემოთ.

	31 დეკემბერი 2019 წ		31 დეკემბერი 2018 წ	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფული და ფულის ექვივალენტი	2870	2870	9937	9937
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1766	1766	2090	2090
ვალდებულებები წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	10601	10601	779	779

ვალდებულებებიდან (10601 ლარი), რომელიც ირიცხება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 10273 ლარი არის ავანსად ჩამორიცხული თანხა ტურისტული კომპანია „INGEO-VOYAGE“-ის მიერ, რომელსაც უნდა შემოეყვანა ტურისტები 2019 წლის საკურორტო სეზონზე, მაგრამ ცნობილი 21 ივნისის მოვლენების გამო ვერ მოახერხა ტურისტების იმ რაოდენობის შემოყვანა რაც გათვალისწინებული იყო ხელშეკრულებით. შესაბამისად ავანსად ჩამორიცხული თანხა დარჩა დავალიანებად, რომელსაც ურთიერთ შეთანხმებით გამოიყენებს შემდგომ წლებში.

18.ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიას არ გააჩნია დავალიანება დაკავშირებულ მხარეებთან.

ხელმოწერა იდენტურია 1-15 გვერდის ჩათვლით.

ს.ს. „ქობულეთის საკურორტო პოლიკლინიკის



მ. მახოძე
ბუღალტერი